# საქართველოს მთავრობის

# დადგენილება №402

**2022 წლის 1 აგვისტო**

**ქ. თბილისი**

**„C ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 აპრილის №169 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

**მუხლი 1**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „C ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 აპრილის №169 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 21/04/2015, 470000000.10.003.018554) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული პროგრამის 21-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„მუხლი 21. პროგრამის ბიუჯეტი**

პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრება 5,500.0 ათასი ლარით, შემდეგი ცხრილის შესაბამისად:

| № | კომპონენტის დასახელება | ბიუჯეტი<br>(ათასი ლარი) |
|---|---|---|
| 1 | სკრინინგული კვლევის კომპონენტი | 2,200.0 |
| 2 | დიაგნოსტიკის კომპონენტი | 2,550.0 |
| 3 | მკურნალობის კომპონენტი | 400.0 |
| 4 | ლოჯისტიკის კომპონენტი | 350.0 |
| | **სულ:** | **5,500.0** |

.“.

**მუხლი 2**

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**პრემიერ-მინისტრი** **ირაკლი ღარიბაშვილი**